

მონაცემთა მონიტორინგი რეალურ დროში/ მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის დამატება

კვლევის აღწერილობა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2020 წლის ბოლოს დაიწყო ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში კვლევა. კვლევა ხორციელდება გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით. კვლევა მიმდინარეობს მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS6) შერჩევის საფუძველზე.

კვლევის მიდგომა ემყარება 1 წლის განმავლობაში ერთსა და იმავე რესპონდენტებისაგან განმეორებით ინფორმაციის შეგროვებას (პანელური კვლევა).

კვლევის ფარგლებში შეგროვდება მონაცემები როგორც ქალაქებში, ისე სოფლად მცხოვრებ შინამეურნეობებში. ქვეყნის მასშტაბით კვლევის მესამე ტალღისთვის შერჩევის ზომა განსაზღვრულია 1,996 შინამეურნეობით, მათ შორის ქალაქად 966 ერთეულით, ხოლო სოფლად 1,030 ერთეულით. მონაცემების შეგროვება ხორციელდება პლანშეტური კომპიუტერების გამოყენებით, კომპიუტერიზირებული სატელეფონო ინტერვიუს მეთოდით (CATI).

კვლევის მესამე ტალღის სავსელე სამუშაოები ჩატარდა 2021 წლის მაისი-ივნისში. გამოკასუების დონემ შეადგინა 83.7 პროცენტი, მათ შორის ქალაქის ტიპის დასახლებებში - 84.0 პროცენტი, ხოლო სასოფლო დასახლებებში - 83.5 პროცენტი.

კვლევის მესამე ტალღის საკვანძო გზავნილები

1. შინამეურნეობების შემოსავლები:

- შინამეურნეობების 13.9 პროცენტში, ერთმა წევრმა მაინც დაკარგა სამსახური დროებით ან ხანგრძლივი პერიოდით 2020 წლის დეკემბრიდან 2021 წლის ივნისამდე პერიოდში;
- 2020 წლის დეკემბრიდან 2021 წლის ივნისამდე პერიოდში შინამეურნეობების 37.4 პროცენტს შეუმცირდა საშუალო თვიური შემოსავალი. ამასთან, ამ შინამეურნეობების მეოთხედზე მეტს (27.5%) შემოსავალი შეუმცირდა 50%-ზე მეტით;
- შემოსავლის შემცირების მთავარ მიზეზს წარმოადგენს COVID-19-ი და მასთან დაკავშირებული ძირითადი გარემოებები, როგორცაა კომპანიას/ბიზნესს, რომელშიც მუშაობდა ან ეკუთვნოდა შინამეურნეობის წევრს, შეუმცირდა მოთხოვნა (50.7%) და კომპანიის/ბიზნესის, სადაც მუშაობდა შინამეურნეობის წევრი, დახურვა (16.9%);
- შემოსავლების შემცირებასთან გამკლავების მიზნით შინამეურნეობები ყველაზე ხშირად მიმართავდნენ კვების გარდა სხვა საოჯახო ხარჯების შემცირებას (80.8%), კვებაზე ხარჯების შემცირებას (68.7%), დანაზოგების გამოყენებას (48.7%) და ფულის სესხებას მეგობრებისა და ნაცნობებისგან (44.0%);

- კითხვაზე რამდენად წუხხართ თქვენი შინამეურნეობის მომდევნო თვის ფინანსურ მდგომარეობაზე, რესპონდენტების 41.1%-მა განაცხადა, რომ ძალიან შეწუხებულია, 35.0% - ზომიერად შეწუხებულია, 14.8% - მეტ-ნაკლებად შეწუხებულია, 4.2% - უმნიშვნელოდ შეწუხებულია, ხოლო 4.8% - საერთოდ არ არის შეწუხებული.

2. COVID-19

- გამოკითხვის წინა 7 დღის განმავლობაში რესპონდენტების 27.1% ყოველთვის ახერხებდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნისგან თავის არიდებას, 34.7% - ხშირად, 17.9% - ხანდახან, 10.4% - იშვიათად, ხოლო 9.9% საერთოდ ვერ ახერხებდა;
- გამოკითხვის წინა 7 დღის განმავლობაში, რესპონდენტთა 22.0% ყოველთვის ახერხებდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნისას ხალხისგან დისტანციის დაცვას, 42.3% - ხშირად, 23.0% - ხანდახან, 7.9% - იშვიათად, ხოლო 4.7% საერთოდ ვერ ახერხებდა;
- გამოკითხვის წინა 7 დღის განმავლობაში რესპონდენტების, რომლებიც იმყოფებოდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, 80.1% ყოველთვის ატარებდა პირბადეს, 15.4% - ხშირად, 2.5% - ხანდახან, 1.5% - იშვიათად, ხოლო 0.5% - არასდროს არ ატარებდა;
- კითხვაზე COVID-19-თან დაკავშირებული რა ინფორმაციის ცოდნა სურთ ამჟამად, რესპონდენტების 43.0 პროცენტმა განაცხადა, რომ სჭირდებათ ინფორმაცია COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის შესახებ, 13.8 პროცენტს სჭირდება ინფორმაცია COVID-19-ის გავრცელების შესახებ, 13.4 პროცენტს - COVID-19-ის, როგორც დაავადების შესახებ, ხოლო 42.3 პროცენტს არ სჭირდება COVID-19-თან დაკავშირებული რაიმე სახის ინფორმაცია;
- 5-17 წლის ბავშვების პროცენტული წილი, რომელთა ძილის გრაფიკი გაუარესდა 2020 წლის აპრილში საყოველთაო კარანტინის გამოცხადებამდე პერიოდთან შედარებით შეადგინა 19.8%. ქალაქად მცხოვრები ასეთი ბავშვების წილი დაახლოებით ორჯერ აღემატება სოფლად მცხოვრები ბავშვების წილს, 24.4% და 12.3%, შესაბამისად;
- კითხვაზე რამდენად წუხხართ იმაზე, რომ თქვენ ან თქვენი შინამეურნეობის წევრი შეიძლება COVID-19-სგან მძიმედ ავად გახდეს, რესპონდენტების 45.1%-მა განაცხადა, რომ ძალიან შეწუხებულია, 29.7% - ზომიერად შეწუხებულია, 12.5% - მეტ-ნაკლებად შეწუხებულია, 5.5% - უმნიშვნელოდ შეწუხებულია, ხოლო 7.0% - საერთოდ არ არის შეწუხებული.

3. ბავშვთა ადრეული განვითარება:

- 0-4 წლის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც ცხოვრობენ შინამეურნეობებში, სადაც ბავშვებისთვის არ აქვთ 3 ან მეტი საბავშვო წიგნი შეადგენს 21.2%-ს. სოფლად მცხოვრები ასეთი ბავშვების წილი დაახლოებით სამჯერ აღემატება ქალაქად მცხოვრები ბავშვების წილს, 35.8% და 11.5%, შესაბამისად;
- 0-4 წლის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც ცხოვრობენ შინამეურნეობებში, სადაც ბავშვებისთვის არ აქვთ 10 ან მეტი საბავშვო წიგნი შეადგენს 59.8%-ს. სოფლად მცხოვრები ასეთი ბავშვების წილი აღემატება ქალაქად მცხოვრები ბავშვების წილს, 71.8% და 51.9%, შესაბამისად;
- 2-4 წლის ბავშვებში, ბავშვთა ადრეული განვითარების ინდექსი¹ შეადგენს 88.4%.

4. ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებაზე:

- შინამეურნეობების პროცენტულმა წილმა, რომლის ერთმა წევრმა მაინც ვერ მიიღო სამედიცინო მომსახურება გამოკითხვის წინა 2 კვირის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ სჭირდებოდა, შეადგინა 5.1%;

1 მიაღწიეს განვითარების მინიმალურ დონეს მათი ასაკობრივი ჯგუფისათვის. გაანგარიშების მეთოდოლოგია იხილეთ: <https://data.unicef.org/resources/early-childhood-development-index-2030-ecdi2030/>

- შინამეურნეობების პროცენტულმა წილმა, რომლის ერთმა წევრმა მაინც ვერ შეძლო საჭირო მედიკამენტების მიღება, რადგან არ ჰქონდა ყიდვის შესაძლებლობა (მაღალი ფასის გამო) გამოკითხვის წინა 2 კვირის განმავლობაში, შეადგინა 37.9%.

5. ელექტრონული მონყობილობების გამოყენება ბავშვების მიერ:

- 0-4 წლის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც გასული 7 დღის განმავლობაში დღეში საშუალოდ 1 საათზე მეტ დროს ატარებდნენ ელექტრონული მონყობილობების ეკრანთან შეადგენს 43.8%%.

6. ბავშვთა ფუნქციური სირთულეები შფოთვის და დეპრესიის სახით გამოხატული:

- 5-17 წლის ბავშვების პროცენტული წილი, რომელთაც აქვთ ფუნქციური სირთულეები შფოთვის სახით² შეადგენს 5.5%, დეპრესიის სახით³ - 2.2%, ხოლო რომელიმე ერთი მაინც - 6.5%-ს;
- 5-17 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც გამოიყურებიან ძალიან შეშფოთებულად, გაღიზიანებულად ან შეფიქრიანებულად ყოველდღე, ყოველკვირა ან ყოველთვე, და/ან რომლებიც გამოიყურებიან ძალიან მონყენილად ან დეპრესიულად ყოველდღე, ყოველკვირა ან ყოველთვე და რომელთათვისაც შინამეურნეობის წევრებს უფიქრიათ კვალიფიციური დახმარების განწევის თაობაზე შეადგენს 26.8%;
- 5-17 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც გამოიყურებიან ძალიან შეშფოთებულად, გაღიზიანებულად ან შეფიქრიანებულად ყოველდღე, ყოველკვირა ან ყოველთვე, და/ან რომლებიც გამოიყურებიან ძალიან მონყენილად ან დეპრესიულად ყოველდღე, ყოველკვირა ან ყოველთვე და რომელთათვისაც შინამეურნეობის წევრებს უფიქრიათ კვალიფიციური დახმარების განწევის თაობაზე და მიუმართავთ კვალიფიციური დახმარების მისაღებად შეადგენს 48.3%.

1 მოიცავს ძალიან შეშფოთებულად, გაღიზიანებულად ან შეფიქრიანებულად ყოფნას ყოველდღე.

2 მოიცავს ძალიან მონყენილად ან დათრგუნულად ყოფნას ყოველდღე.